შ.პ.ს. „მონოლითი+“ - L.T.D. „MONOLITI+“

402192417

№03-7/26 „3” ივლისი 2026 წ.

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის №39-ის მიმდებარედ სადემონტაჟო შენობის გავლენას, ირგვლივ არსებულ შენობა-ნაგებობებზე.

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუბინაშვილის №39-ის მიმდებარედ, შპს“თელასი“_ს საკუთრებაში იმყოფება მიწის ნაკვეთი (ს/კ№01.16.01.015.016 A=27მ²) სადაც განთავსებულია სატრანსფორატორო შენობა (ავარიული). დაგეგმილია ავარიული ქვესადგურის დემონტაჟი. საპროექტო ობიექტის პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. „გეო-ენერჯი” ის მიერ. საპროექტო ობიექტი მოშენების თვალსაზრისით გეგმაში ოთხკუთხა მოხაზულობისაა, ზომებით გეგმაში L×B=4.30×4.17მ. კონსტრუქციულად მზიდკედლიანი, აგურის წყობით, დაბალი სიმტკიცის ხსნარზე. სართულიანობის მიხედვით, შენობა ერთ სართულიანია, სიმაღლით 463 სმ.

საპროექტო შენობის მიერ, ირგვლივ არსებულ შენობა-ნაგებობებზე ტექნიკური ზეგავლენის შესწავლის მიზნით (იხ ფოტო 1), გამოკვლევა ჩატარდა მომიჯნავე ნაგებობებზე.

ობიექტებისათვის. მიწის ნაკვეთს, რომელზედაც დამუშავებულია შენობის პროექტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.16.01.015.018 ნაკვეთი სადაც განთავსებულია ორსართულიანი შენობა.

შენობა მზიდკედლიანია აგურის წყობით, რომელსაც არ აღენიშნება დეფორმაციები. განსახილველი (სადემონტაჟო) შენობა, აღნიშნულ მომიჯნავე ნაგებობისგან გამოყოფილია.

საპროექტო შენობას აღმოსავლეთით და დასავლეთით ემიჯნება ერთსართულიანი ნაგებობები, ასევე განცალკევებულია მისგან.

დასკვნა.

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუბინაშვილის №39-ის მიმდებარედ, შპს“თელასი“_ს საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთს (ს/კ№01.16.01.015.016). შ.პ.ს. „გეო-ენერჯი”-ს მიერ დამუშავებული პროექტის მიხედვით, ავარიული სატრანსფორმატორო შენობის დემონტაჟი შესაძლებელია ხელით, ეტაპობრივად ზემოდან ქვემოთ.

მომიჯნავე ყველა ნაგებობის უსაფრთხო ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით, ყველა სამუშაო სრულდება, ყოველგვარი მძიმე ტექნიკის გამოყენების გარეშე, რათა თავიდან იქნას აცილებული დაზიანებები.

სადემონტაჟო სამუშაოები მთლიანად უზრუნველყოფს ირგვლივ მდებარე შენობების უსაფრთხო არსებობას როგორც დემონტაჟის, ასევე მისი ექსპლოატაციის პერიოდში. რაიმე დამატებითი დამცველი ღონისძიების გამოყენება საჭიროებას არ წარმოადგენს.

შ.პ.ს. ”მონოლითი+”-ის დირექტორი /გ.იაშვილი/